ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1133

ქ. ბათუმი, 23 დეკემბერი 2016 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ვ[1].“ ქვეპუნქტის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი“-ს მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი ბოლქვაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დავით ოქრაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

კომისიის წევრები:

გ) ნინო ფუტკარაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია) მოვალეობის შემსრულებელი;

დ) გურამ თურმანიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

ე) რესან ქიქავა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია);

ვ) ანზორ თაფლაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ზ) ედუარდ ნაკაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2. კომისია დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. არავის აქვს უფლება, მოახდინოს რაიმე ზეგავლენა ან/და ჩაერიოს კომისიის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

3. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის ყველა დამსწრე წევრი და კომისიის მდივანი.

5. კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე). კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე.

6. კომისიას აქვს ბეჭედი მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით. კომისიას აქვს ბლანკი მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

7. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატი.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 05 აგვისტოს N695 ბრძანება.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი